სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *მიხეილ ჯინჯოლიას* შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	✓

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით

კრიტერიუმი	მიღებული ქულა	მაქსიმალური ქულა
სამართლის ნორმების ცოდნა	19	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	19	20
წერის უნარი	19	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	14	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	14	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	2	5
პროფესიული აქტივობა	2	5
ქულათა ჯამი	89	100

ლევანი თევზაძე

თარიღი: 14.04.25

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

ლევანი თევზაძე

14 აპრილი, 2025 წელი თბილისი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 30 დეკემბრის №1/161 განკარგულებით (2024 წლის 31 დეკემბრის №1/163 განკარგულებით ცვლილება შევიდა 2024 წლის 30 დეკემბრის №1/161 განკარგულებაში) დაწყებულ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის შესარჩევ პროცედურაში მონაწილე კანდიდატის - მიხეილ ჯინჯოლიას

შ ე ფ ა ს ე ბ ა

1. პროცედურის შესახებ:

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 30 დეკემბრის №1/161 განკარგულებით (2024 წლის 31 დეკემბრის №1/163 განკარგულებით ცვლილება შევიდა 2024 წლის 30 დეკემბრის №1/161 განკარგულებაში) დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის შესარჩევი პროცედურა, უზენაესი სასამართლოს მოსამართლის ერთი ვაკანტურ თანამდებობაზე, მოსამართლეობის კანდიდატის შესარჩევად.

მითითებულ პროცედურაში კანდიდატად დარეგისტრირდა მიხეილ ჯინჯოლია.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისმა სამსახურმა, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34² მუხლით დადგენილი წესით, მოიპოვა ინფორმაცია კანდიდატის შესახებ, რომელსაც გავეცანი დეტალურად.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-8 და მე-10 პუნქტებით დადგენილი წესით, 2025 წლის 18 მარტს, ჩატარდა კანდიდატის საჯარო მოსმენა.

საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, კანდიდატი, როგორც სამოსამართლო გამოცდილების მქონე, შევაფასე - „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-15 და მე-17 პუნქტების შესაბამისად.

2. ინფორმაცია კანდიდატის შესახებ:

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი სამსახურის მიერ მოპოვებული ინფორმაცია:

კანდიდატი 37 წლისაა. აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება (მაგისტრი, კავკასიის უნივერსიტეტი). სპეციალობით მუშაობს 14 წელია, მათ შორის - მოსამართლედ, 4 წელია. კერძოდ:

- 2011 წლის ოქტომბერი - 2012 წლის ოქტომბერი - საქართველოს მთავარი პროკურატურის ანტიკორუფციული დეპარტამენტის სტაჟიორი;
- 2012 წლის დეკემბერი - 2013 წლის მარტი - საქართველოს მთავარი პროკურატურის ფინანსთა სამინისტროში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობისა და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაზე სისხლისსამართლებრივი დევნის დეპარტამენტის უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაზე სისხლისსამართლებრივი დევნის სამმართველოს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელი;
- 2013 წლის მარტი - 2016 წლის თებერვალი - საქართველოს მთავარი პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაზე სისხლისსამართლებრივი დევნის სამმართველოს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელი;
- 2016 წლის თებერვალი - 2019 წლის მარტი - ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსი გამომძიებელი;
- 2019 წლის მარტი - 2020 წლის იანვარი - იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი.
- 2020 წლის დეკემბრიდან - დღემდე - თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე.

კანდიდატის შესახებ წარმოდგენილია რეკომენდაციები, რომლებშიც რეკომენდატორები კანდიდატს დადებითად ახასიათებენ და მიიჩნევენ, რომ ის

სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმებს.

მიხეილ ჯინჯოლიას შესახებ ინტერნეტ-სივრცეში ხელმისაწვდომია ინფორმაცია მისი მოსამართლის თანამდებობაზე განწესებასთან, საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის მოსამართლე წევრად არჩევასთან და მის მიერ განხილულ საქმეებთან დაკავშირებით. კანდიდატი არ სარგებლობს სოციალური ქსელებით. იგი არ ყოფილა არც ერთი პოლიტიკური პარტიის წევრი /მხარდამჭერი/ შემომწირველი.

კანდიდატს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება; აქვს მიმდინარე სესხი, დადებითი საკრედიტო ისტორიით. კანდიდატის სახელზე არ არის რეგისტრირებული უძრავი ქონება. უძრავი ქონების რეესტრში არსებული ინფორმაცია შესაბამისობაშია მის მიერ წარმოდგენილ ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციასთან. მეწარმეთა და არასაკმეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრირებული არ არის.

მიხეილ ჯინჯოლიას უფიქსირდება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ოთხი ფაქტი. დაკისრებული სანქციები (ჯარიმები) გადახდილია დროულად. ასევე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინფორმაციით კანდიდატის მიმართ შედგენილია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ორი ელექტრონული საჯარიმო ქვითარი, ჯარიმები გადახდილია დროულად.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტის ინფორმაციით, საქართველოს საერთო სასამართლოებში წარმოებულ დავებში მიხეილ ჯინჯოლიას მხარედ მონაწილეობის თაობაზე ინფორმაცია ელექტრონული საქმისწარმოების საძიებო სისტემაში ვერ იქნა მოძიებული. კანდიდატი დაზარალებულად არ ყოფილა ცნობილი. კანდიდატის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოება არ განხორციელებულა.

მიხეილ ჯინჯოლიას საქმის განხილვის საპროცესო ვადები დაცული აქვს საქმეთა 100% შემთხვევაში, საქმეთა 100% შემთხვევაში დაცული აქვს გადაწყვეტილების მომზადების საპროცესო ვადები, მის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებები, ზემდგომ სასამართლოში გასაჩივრების შემდეგ, უცვლელი დარჩა საქმეთა 96.3% შემთხვევაში.

კანდიდატმა წარმოადგინა მის მიერ განხილულ სამ სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილებები.

კანდიდატი მონაწილეობდა რიგ სასწავლო ღონისძიებებში (მაგ: 2023 წლის 15-17 მარტი, წინანდალი, სისხლის სამართლის პრობლემურ საკითხებთან დაკავშირებული; 2023 წლის 7-9 აპრილი - დანაშაულისა და ძალადობის მოწმე ბავშვები - EU; 2023 წლის 1 და 2 ივლისი, კახეთი (სასტუმრო „ლოპოტას ტბა"), იუსტიციის უმაღლესი სკოლის მიერ ევროპის საბჭოს ოფისისა (CoE) და გაერთიანებული ქალთა ორგანიზაციის (UN WOMEN) მხარდაჭერით დაგეგმილი ტრენინგი - „სქესობრივი დანაშაული"; 2023 წლის 20-22 ოქტომბერი, ლიკანი, გაერთიანებული ერების განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით გამართული სამუშაო შეხვედრა - „სამოსამართლო ეთიკა"; 2023 წლის 6-8 დეკემბერი, წინანდალი, სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის მნიშვნელოვან და აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით გამართული სამუშაო შეხვედრა; 2024 წლის 8 ივნისი, თბილისი, იუსტიციის უმაღლესი სკოლის ტრენინგი - „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები (პრეცენდენტები)" და ა.შ.).

მიხეილ ჯინჯოლიას ჩაბარებული აქვს ადვოკატის საკვალიფიკაციო გამოცდა სისხლის სამართლის სპეციალიზაციით, ასევე ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა სისხლის სამართლის სპეციალიზაციით.

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის 2024 წლის 24 მარტის დადგენილებით კანდიდატი არჩეულ იქნა საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის მოსამართლე წევრად.

კანდიდატი არ ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას.

კანდიდატი ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს.

3. ***კანდიდატის საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია:***

საჯარო მოსმენისას მიხეილ ჯინჯოლიას საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებმა დაუსვეს როგორც ზოგადი, ისე - სამართლებრივი შეკითხვები, სამართლის სხვადასხვა დარგიდან.

დასმულ შეკითხვებზე მისი პასუხები უმეტესწილად იყო თანმიმდევრული და არგუმენტირებული, თუმცა გამოვლინდა გარკვეული ხარვეზები მის მიერ გაცემულ პასუხებში.

4. კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით:

კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით ნებისმიერი კანდიდატის შეფასებისას, მოქმედებს პრეზუმფცია, რომ კანდიდატი არის კეთილსინდისიერი, ე.ი. - აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ხუთივე მახასიათებლის (სამოსამართლო გამოცდილების მქონე კანდიდატისათვის): ა) პიროვნული კეთილსინდისიერება და

პროფესიული სინდისი, ბ) დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა, გ) პიროვნული და პროფესიული ქცევა, დ) პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია და ე) ფინანსური ვალდებულება - მოთხოვნებს, თუ წარმოდგენილი არ არის ამ პრეზუმფციის გამაქარწყლებელი, სანდო ინფორმაცია.

კანდიდატის შესახებ დოკუმენტური, ასევე - მისი საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის (იხ: ამ შეფასების მე-2 პუნქტი) ანალიზიდან გამომდინარე, გაირკვა:

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე პასუხისმგებლობის დამდგენი კანონმდებლობით გათვალისწინებული ექვსი სამართალდარღვევის ჩადენა არ ადასტურებს, რომ „კანდიდატს", როგორც მოქალაქეს, არ აქვს მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება. გარდა ამისა, „კანონის" 35[1] მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული მახასიათებელი - „პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი", იმავე მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული განმარტებების თანახმად, ბევრ სხვა კომპონენტსაც (პატიოსნება, კეთილსინდისიერება, გამჭვირვალობა, კორექტულობა და სიზუსტე სამსახურებრივი ან სხვა მოვალეობების, ფინანსური ან სხვა ვალდებულებების შესრულებისას (მაგალითად, თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსებისას, ბანკის ან სხვა ვალის, კომუნალური ან სხვა გადასახადის, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის ჯარიმის გადახდისას), სიმართლისმოყვარეობა და სხვა) მოიცავს. ვინაიდან სხვა ინფორმაცია, რომელიც გააქარწყლებდა პრეზუმფციას, რომ „კანდიდატი" აკმაყოფილებს ყველა ამ კომპონენტს, არ გამაჩნია.

<u>შესაბამისად, მივიჩნიე, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული „პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის" მახასიათებელს.</u>

კანდიდატი არის პრინციპული, არ ექცევა სხვისი გავლენის ქვეშ, არგუმენტირებულად ასაბუთებს თავის პოზიციას, არის თავდაჯერებული და აქვს გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი.

<u>შესაბამისად მივიჩნიე, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული „დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის" მახასიათებელს.</u>

კანდიდატი არის თავმდაბალი, გულწრფელი, შრომისმოყვარე, თავდაჯერებული, გამოირჩევა სიდინჯით და ტაქტით, აქვს მოსამართლის მაღალი წოდების შესაბამისი ქცევა და იმიჯი. ამდენად, ყველა შესაძლო პროცედურის (დისციპლინური, სისხლის ან სხვაგვარი სამართალწარმოება) დროს, კანდიდატის ქცევა იქნება სათანადო, შექმნილი ფაქტობრივი/სამართლებრივი რეალობის ადეკვატური.

შესაბამისად, მივიჩნიე, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „პიროვნული და პროფესიული ქცევის“ მახასიათებელს.

კანდიდატი გამოირჩევა, როგორც კომუნიკაბელური, მეგობრული და ერთგული პიროვნება, კოლეგებსა და იურიდიულ საზოგადოებაში სარგებლობს მაღალი რეპუტაციით, ამ დასკვნის გამაქარწყლებელი, ასევე - მოსამართლის სტატუსთან შეუთავსებელი ურთიერთობების შესახებ ობიექტური ინფორმაცია ან არგუმენტირებული მოსაზრება ჩემთვის უცნობია.

შესაბამისად, მივიჩნიე, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის“ მახასიათებელს.

კანდიდატის შემოსავლის წყაროს და ოდენობის, აქტივების, მის საკუთრებაში ან სარგებლობაში არსებული ქონების და მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების ერთობლივად გაანალიზების შედეგად, მივიჩნიე, რომ არ არსებობს წინააღმდეგობა მოსამართლის ქონებრივ ინტერესებსა და მართლმსაჯულების ინტერესებს შორის, რაც, თავის მხრივ, გამორიცხავს საფრთხეს მოსამართლის მიუკერძოებლობისადმი.

შესაბამისად, მივიჩნიე, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „ფინანსური ვალდებულების“ მახასიათებელს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან მივიჩნიე, რომ კანდიდატი კეთილსინდისიერების კრიტერიუმის ხუთივე მახასიათებელს სრულად აკმაყოფილებს, ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-15 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით საფუძველზე მივედი იმ დასკვნამდე, რომ კანდიდატი მიხეილ ჯინჯოლია სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

5. კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით:

კანდიდატის შესახებ დოკუმენტური, ასევე - მისი საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის (იხ: ამ შეფასების მე-3 პუნქტი) ანალიზიდან გამომდინარე, გაირკვა:

კანდიდატს გააჩნია სისხლის სამართლის მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობების, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის სათანადო ცოდნა. შესაბამისად, კანდიდატი, საჯარო მოსმენისას გამოვლენილი შეცდომების/ხარვეზების შემოხვევების და კითხვების სირთულის

გათვალისწინებით, ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული „სამართლის ნორმების ცოდნის" მახასიათებლის მიხედვით, უნდა შეფასდეს 13 ქულით (მაქსიმალური -20);

კანდიდატმა წარმოადგინა მის მიერ განხილულ სამ სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი განაჩენები, რომელთა გაანალიზებით დგინდება, რომ მისი მსჯელობა დამაჯერებელია, ხოლო დასაბუთება - ლოგიკური და გასაგები. კანდიდატი სწორად განმარტავს სამართლის ნორმებს და გადაწყვეტილებებში აქტიურად იყენებს ეროვნული და ევროპული სასამართლოების პრაქტიკას.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, მივიჩნიე, რომ კანდიდატი, ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული „სამართლებრივი დასაბუთების უნარის და კომპეტენციის" მახასიათებლის მიხედვით, უნდა შეფასდეს 19 ქულით (მაქსიმალური - 20 ქულა);

კანდიდატის მიერ წარმოდგენილი განაჩენების შესწავლით დავადგინე, რომ კანდიდატის მსჯელობა ძირითადად ლოგიკური და ანალიტიკურია, თუმცა ხოგჯერ იყენებს რთულ წინადადებებს, რაც გადმოცემული აზრის სათანადოდ აღქმას აძნელებს.

აღნიშნული გარემოებების (ხარვეზის) გათვალისწინებით, მივიჩნიე, რომ კანდიდატი, ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული „წერის უნარის" მახასიათებლის მიხედვით, უნდა შეფასდეს 19 ქულით (მაქსიმალური - 20 ქულა);

კანდიდატს ზეპირი კომუნიკაციისას ახასიათებს დინჯი, მშვიდი და გამართული საუბარი. საჯარო მოსმენისას დასმულ შეკითხვებს უმეტესწილად პასუხობდა სწორად და გასაგებად.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, მივიჩნიე, რომ კანდიდატი, ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ე" ქვეპუნქტით გათვალისწინებული „ზეპირი კომუნიკაციის უნარის" მახასიათებლის მიხედვით, უნდა შეფასდეს 14 ქულით (მაქსიმალური 15 ქულა);

კანდიდატი არის შრომისმოყვარე, ორგანიზებული, პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობის მქონე, კვალიფიკაციური, მიუკერძოებელი და სამართლიანი. მისი ქცევა სასამართლო დარბაზში ასევე არის სათანადო, რის გამოც ის სასამართლო სხდომას წარმართავს კარგად, გადაწყვეტილებას იღებს დამოუკიდებელი აზროვნების საფუძველზე.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, მივიჩნიე, რომ კანდიდატი, ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ზ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული

„პროფესიული თვისებების (მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში)“ მახასიათებლის მიხედვით, უნდა შეფასდეს 14 ქულით (მაქსიმალური 15 ქულა);

კანდიდატი გამოირჩევა ცოდნის გაღრმავების და პროფესიული უნარ-ჩვევების შეძენის ინტერესით. მონაწილეობს პროფესიულ ტრენინგებში და მიღებულ ცოდნას თუ გამოცდილებას იყენებს პროფესიულ საქმიანობაში. არ ეწევა სამეცნიერო საქმიანობას.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, მივიჩნიე, რომ კანდიდატი, ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „აკადემიური მიღწევების და პროფესიული წვრთნის“ მახასიათებლის მიხედვით, უნდა შეფასდეს 2 ქულით (მაქსიმალური 5 ქულა).

კანდიდატი აქტიურად მონაწილეობს სხვადასხვა სემინარებსა და კონფერენციებში, სადაც თავისუფლად გამოხატავს საკუთარ შეხედულებებს, შეუძლია ინიციატივების და წინადადებების წამოყენება. არ ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, მივიჩნიე, რომ კანდიდატი, ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „პროფესიული აქტივობის“ მახასიათებლის მიხედვით, უნდა შეფასდეს 2 ქულით (მაქსიმალური 5 ქულა).

აღნიშნულიდან გამომდინარე, კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით, საერთო ჯამში, კანდიდატ მიხეილ ჯინჯოლიას ვანიჭებ 89 ქულას.

ლევანი თევზაძე